პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში (ERICS-EaP)

განხორციელების ვადა: 01.03.2024 - 01.03.2027

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 1 500 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 745 213

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Transatlantic Foundation

პროექტის ვებსაიტები: gmfus.org/enhancing-resilience-civil-society-eastern-partnership-erics-eap

პროექტის აღწერა:

შემოთავაზებული ღონისძიების სახელწოდებაა სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში (ERICS-EaP). მისი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლის გაძლიერება დემოკრატიულ მმართველობასა და რეფორმების განხორციელებაში აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში. ამ მიზნის შესასრულებლად ERICS-EaP მოიცავს აქტივობების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საჭირო უნარებით, ორგანიზაციული და ფინანსური რესურსებით და რეგიონული ქსელებით, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ მოქნილ და მდგრად დემოკრატიული სუბიექტებად; პრაქტიკულად ეს განხორციელდება ორგანიზაციული და რისკ-სპეციფიკური პოტენციალის შექმნით, ასევე მდგრადობის, ქსელური და სამოგზაურო გრანტების ფორმით გაცემული პირდაპირი დაფინანსებით.
ღონისძიება, რომელიც აზერბაიჯანში, სომხეთში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში დაინერგება, უშუალოდ მოიზიდავს და მხარს დაუჭერს 500-მდე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას და მათ პერსონალს. აღნიშნული ძირითადად განხორციელდება მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც ERICS-EaP-ის პროექტის მთლიანი ღირებულების 68.5 პროცენტს შეადგენს.

მოსალოდნელი შედეგები:

- რეგიონის სამოქალაქო საზოგადოების ფინანსური და რესურსული ბაზის გაუმჯობესება;
- რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი სეგმენტების მიზნობრივი მხარდაჭერა მათი პოტენციალის გასაზრდელად ურთიერთობების, ზეგავლენის, ცნობადობის, ანგარიშვალდებულების და მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით;
- სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა მოქალაქეებთან, საზოგადოებასთან და მოსახლეობის ჯგუფებთან ეფექტიანი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად, და სათანადო კავშირების დასამყარებლად ხელისუფლებასთან ყველა დონეზე;
- რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და გაცვლების გააქტიურება სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმების და ქსელების საშუალებით.